საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**გ-69.69220381**
თარიღი:**07/02/2022**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ა“ ქვეპუნქტისა და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განხილულ იქნა რა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში 2020 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. 2021 წელს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე სამსახურის საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #7).

დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი